სს მეტრო ჯორჯია

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ქ. ბათუმი
2021

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა……3-7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება……8

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

ფულადი ნაკადების კონდოლიდირებული ანგარიშგება 10

კაპიტალის მოძრაობის კონდოლიდირებული ანგარიშგება 11

განმარტებითი შენიშვნები..... 12-42

BTA CONSULTING LLC
4 Tsitsamuri st.
Tbilisi, 0180, Georgia
Tel: +995 577 757531
+995 593 115290

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს „მეტრო ჯორჯია“-ს

აქციონერებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „მეტრო ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში „ჯგუფი“) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების) აუდიტი.

ჩვენის აზრით, სს „მეტრო ჯორჯია“-ს მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება) ყველა მნიშნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვენლოვან გარემოებათა აბზაცი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, სს „მეტრო ჯორჯია"-მ 2021 წლის დეკემბერში მოახდინა საკუთრებაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებების მთლიანი კლასის გადაფასება და თვითღირებულების მოდელიდან გადავიდა გადაფასების მოდელზე. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა გარემოებები

სს „მეტრო ჯორჯია"-ს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია წინამორბედი აუდიტორის მიერ და გამოთქმულია პირობითი მოსაზრება ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებთან და შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, რომელიც მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის, მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, კერძოდ ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მმართველობის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია ჯგუფის უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს საწარმოების ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;

- ვეცნობით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის

პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დაოუკიდებლობაზე და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის *(შემდგომში „კანონი“)* მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ”ბითიეი კონსალტინგის“ სახელით
გარიგების პარტნიორი

ბესიკ კვაჭანტირაძე

აუდიტორთა სახელმწიფო
რეესტრში რეგისტრაციის
ნომერი
SARAS-A-206872

ქ. ბათუმი, 2021 წლის 26
დეკემბერი

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს "ბითიეი კონსალტინგის“ სახელით
გარიგების პარტნიორი

ბესიკ კვაჭანტირაძე

აუდიტორთა სახელმწიფო
რეესტრში რეგისტრაციის
ნომერი
SARAS-A-206872

ქ. ბათუმი, 2021 წლის 26
დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

აქტივები	**შენიშვნა**	**31.12.2020**	**31.12.2019**
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	463 372	1 117 261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	119 455	631 812
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		145 098	134 654
საგადასახადო აქტივი		46 591	1 382 765
		774 515	***3 266 492***
ძირითადი საშუალებები	4	2 715 197	3 645 688
არამატერიალური აქტივები		29 616	36 766
აქტივის გამოყენების უფლება	12	-	512 165
		2 744 813	***4 194 619***
სულ აქტივები		***3 519 328***	***7 461 111***
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	3 116 498	4 266 160
საიჯარო ვალდებულება		-	68 323
		3 116 498	***4 334 483***
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	-	484 972
		0	***484 972***
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	2 200 000	2 200 000
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		(1 797 169)	441 656
		402 830	***2 641 656***
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		***3 519 328***	***7 461 111***

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021წლის 22 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	რობერტ ფერდმანი
დირექტორი	მიხეილ დობორჯგინიძე
ფინანსური დირექტორი	ირაკლი ზაქარაძე

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	463 372	1 117 261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	119 455	631 812
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		145 098	134 654
საგადასახადო აქტივი		46 591	1 382 765
		774 515	*3 266 492*
ძირითადი საშუალებები	4	2 715 197	3 645 688
არამატერიალური აქტივები		29 616	36 766
აქტივის გამოყენების უფლება	12	-	512 165
		2 744 813	*4 194 619*
სულ აქტივები		*3 519 328*	*7 461 111*
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	3 116 498	4 266 160
საიჯარო ვალდებულება		-	68 323
		3 116 498	*4 334 483*
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	-	484 972
		0	*484 972*
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	2 200 000	2 200 000
გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)		(1 797 169)	441 656
		402 830	*2 641 656*
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		*3 519 328*	*7 461 111*

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021წლის 22 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	რობერტ ფერდმანი
დირექტორი	მიხეილ დობორჯგინიძე
ფინანსური დირექტორი	ინგა ზაქარაძე

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

GEL

საოპერაციო შემოსავალი	**შენიშვნა**	**31.12.2020**	**31.12.2019**
ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		1 105 817	6 185 556
საიჯარო შემოსავალი		32 206	297 918
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	167 637	339 237
		1 305 660	***6 822 711***
საოპერაციო ხარჯები			
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	6	(829 588)	(1 953 763)
ცვეთა და ამორტიზაცია		(949 862)	(1 106 719)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(919 236)	(1 022 895)
საწვავის ხარჯი		(282 614)	(869 778)
მარაგის ხარჯი		(93 295)	(602 601)
საკომისიო ხარჯი	8	(105 520)	(571 917)
ფინანსური აქტივების და ავანსების გაუფასურება	12	(85 173)	(166 527)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		***(1 959 627)***	***528 511***
ფინანსური ხარჯები		(6 094)	(121 187)
ფინანსური შემოსავალი		463 726	116 860
საკურსო სხვაობა, ნეტო		46 594	(7 658)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(79 890)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		***(1 535 291)***	***516 526***
მოგების გადასახადი		(3 534)	-
მთლიანი სრული შემოსავალი		***(1 538 825)***	***516 526***
საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე		**(69,95)**	**0,235**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2021წლის 22 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	რობერტ ფერდმანი
დირექტორი	მიხეილ დობორჯგინიძე
ფინანსური დირექტორი	ირაკლი ზაქარაძე

ფულადი ნაკადების კონდოლიდირებული ანგარიშგება

არაპირდაპირი მეთოდი

GEL

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	**(1 538 825)**	**516 526**
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	949 862	1 106 719
საპროცენტო ხარჯი	6 094	121 187
ფინანსური შემოსავალი	(80 639)	(31 492)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	83 934	278 218
მარაგების გაუფასურების ამობრუნება	-	(495 140)
მოთხოვნების, გაცემული ავანსების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	85 173	166 527
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(46 594)	7 658
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე	***(540 996)***	***1 670 203***
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების (ზრდა)/ შემცირება	(10 444)	569 263
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	1 024 522	786 529
საგადასახადო აქტივის (ზრდა)/შემცირება	1 336 174	(943 972)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(1 702 957)	(71 436)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	***106 300***	***2 010 587***
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტები	-	(113 938)
სხვა გადახდილი პროცენტები	(4 640)	(7 249)
მიღებული პროცენტები	39 509	20 918
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	***141 169***	***1 910 318***
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(92 595)	(963 764)
გაცემული სესხების შემცირება	-	59 120
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(92 595)**	**(904 644)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები	-	(66 960)
გადახდილი დივიდენდები	(700 000)	(54 060)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსურისაქმიანობიდან	**(700 000)**	**(121 020)**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	**(651 427)**	**884 654**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**1 117 261**	**235 919**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე	(2 463)	(3 312)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**463 371**	**1 117 261**

დირექტორი	რობერტ ფერდმანი
დირექტორი	მიხეილ დობორჯგინიძე
ფინანსური დირექტორი	ირაკლი ზაქარაძე

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

GEL

	სააქციო კაპიტალი	*გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)*	*სულ კაპიტალი*
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	*2 200 000*	*(20 810)*	*2 179 190*
მფლობელებზე განაწილება	-		-
გამოცხადებული დივიდენდი	-	(54 060)	*(54 060)*
მთლიანი სრული შემოსავალი		516 526	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	*2 200 000*	*441 656*	*2 641 656*
მფლობელებზე განაწილება	-		-
გამოცხადებული დივიდენდი	-	(700 000)	*(700 000)*
მთლიანი სრული შემოსავალი		(1 538 825)	*(1 538 825)*
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	*2 200 000*	*(1 797 169)*	*402 831*

დირექტორი	რობერტ ფერდმანი
დირექტორი	მიხეილ დობორჯგინიძე
ფინანსური დირექტორი	ირაკლი ზაქარაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

სს"მეტრო ჯორჯია" (შემდგომში "ჯგუფი") დაფუძნდა 2012 წლის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი სამართლებრივი ფორმაა: სააქციო საზოგადოება, ხოლო საიდენტიფიკაციო ნომერია: 445410635;

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: გოგოლის ქ. N1, ქ. ბათუმი, საქართველო

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენსმგზავრების გადაყვანა საქართველოს ტერიტორიასა და საერთაშორისო მიმართულებით.

კომპანიის მფლობელები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ: სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია (50%) და შპს სდფ არეა (50%). კომპანიის დირექტორები არიან: რობერტ ფერდმანი, მიხეილ დობორჯგინიძე, შენოლ აიილდიზ და უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა კრება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიასთან ერთად მოიცავს 100% -იან შვილობილ კომპანიას (შემდგომში "ჯგუფი") სს აჭარა-ტური, რომელიც საქართველოში ეწევა ტურისტული მომსახურების საქმიანობას.

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებლები არიან რობერტ ფერდმანი და მიხეილ დობორჯგინიძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს / IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით

შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს–ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია ქვემოთ.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. აქციონერებს სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კორონავირუსმა გავლენა მოახდინა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე, რის გამოც ჯგუფმა 2020 წლის ფინანსურ შედეგები უარყოფითად დაასრულა. 2021 წლის დასაწყისიდან მთავრობის მიერ მოხსნილმა შეზღუდვებმა უზრუნველყო ჯგუფის ძირითადი საქმიანობის განახლება და დაგეგმილი შემოსავლების ეტაპობრივი მიღება.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	31.12.2020	31.12.2019
USD	3,2766	2,8677
EUR	4,0233	3,2095

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. გამოყენებული ცვეთის ნორმებია:

შენობები	20-30 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი
ავეჯი და ინვენტარი	4 წელი
სხვა	4 წელი

2021 წლის დეკემბერში სს მეტრო ჯორჯიას ხელმძღვანელობამ ანგარიშგებაში აქტივების სამართლიან ღირებულების ასახვის მიზნით მოახდინა სატრანსპორტო საშუალებების კლასის გადაფასება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის

ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებივ ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

(i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება,

(ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და

(iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ამორტიზებული ღირებულება („AC”) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი)

საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავლი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარება. „ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც „შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.
ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულაციებით ან ბაზრის წესებით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით” (“FVTPL”), “რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (“FVOCI”) და ამორტიზებული ღირებულებით (“AC”). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი",) თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი") ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს-მოდელში და შეფასდება "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით". კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას ("SPPI"). წარმოებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობა SPPI- მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა. როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - (i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და (ii) ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივები გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია აფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღრიებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ- ოპერაციას. ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო მხარის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია ადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა ითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები)) დისკონტირებულ თანხას და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება). კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ „რეალური ღირებულებით, მოგებაზარალში ასახვით,“ („FVTPL“) შეფასებულის კატეგორია. ჯგუფმა შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს FVTPL კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს), და რომელიც სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, ამ შემთხვევაში ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება- ზარალში აისახება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფი ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელსაც აკონტროლებს კომპანია, აღირიცხება არამატერიალური აქტივების სახით, თუ მოსალოდნელია ნაზრდი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს. ამ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად, მისი მოვლა-შენახვის ხარჯები, გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ს ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციზის და, სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა

საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების, ან ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზნით და კომპანიას არ აქვს თვითონ დაკავებული/გამოყენებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს მშენებარე აქტივებსაც, რომლებიც გამიზნულია მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდგომში ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული

საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომლითაც შეიძლება ქონება გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. „გარიგების მსურველი გამყიდველი“ არ არის იძულებული გამყიდველი, რომელიც მზად არის ქონება გაყიდოს ნებისმიერ ფასად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის მქონე ანალოგიური ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები. თუ არ არსებობს აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები, კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) განსხვავებული ხასიათის, მდგომარეობის ან განსხვავებულ ადგილას მდებარე ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასებს, რომლებიც დაკორექტირდება ამ განსხვავებების ასახვის მიზნით;

ბ) ანალოგიური ქონების ნაკლებად აქტიური ბაზრების უახლესი პერიოდის ფასებს რომლებიც დაკორექტირდება ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით იმ ოპერაციების თარიღის შემდეგ, რომლებიც განხორციელდა ამ ფასებით; და

გ) დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რომლებიც ეყრდნობა მომავალი ფულადი ნაკადების საიმედო შეფასებებს და დასაბუთებულია არსებული საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების პირობებით და (როდესაც შესაძლებელია) გარე მტკიცებულებებით, როგორიცაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის ანალოგიური ქონების მიმდინარე საბაზრო საიჯარო ქირები და დისკონტირებულია ისეთი დისკონტირების განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების სიდიდესა და მათი წარმოქმნის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

ჯგუფი საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი პერიოდის გამოცდილება ანალოგიურ ადგილას მდებარე ანალოგიური კატეგორიის ქონების შეფასების საკითხში.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში ამონაგების შემადგენლობაში.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში და წარდგენილია განცალკევებით.

საინვესტიციო ქონების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი გამოითვლება შემოსულობიდან საბალანსო ღირებულების გამოკლებით. როდესაც კომპანია ქონებას ასხვისებს რეალური ღირებულებით, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებული ოპერაციის ფარგლებში, ქონების საბალანსო ღირებულება, რომელიც მას ჰქონდა უშუალოდ გაყიდვის წინ, დაკორექტირდება გარიგების ფასამდე და კორექტირების თანხა აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში, საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებამდე კორექტირების შედეგად წარმოქმნილი ნეტო შემოსულობის შემადგენლობაში.

თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, იგი რეკლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული მისი საბალანსო ღირებულება გახდება ამ ქონების დასაშვები საწყისი ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში კაპიტალიზდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ დანახარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის სარემონტო და ტექმომსახურებასთან, გაწევისთანავე აისახება, როგორც ხარჯი.

იჯარა

ჯგუფი იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას. ჯგუფი იყენებს მსჯელობას

ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

ჯგუფი შვილობილ კომპანიაში ინვესტიციებს აღიარებს თავდაპირველი ღირებულებით, მანამ სანამ არ მოხდება ინვესტიციის ბალანსიდან ჩამოწერა ან სანამ არ გაუფასურდება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის. შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი ანგარიშგების წარდგენის დღისთვის, რათა განსაზღვრულ იქნას ადგილი აქვს თუ არა გაუფასურებას. თუ ადგილი ექნება ამგვარ გაუფასურებას, ხდება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება. დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდის ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

გაუფასურების ზარალი მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში ფასდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, და გადავა რეზერვში, თუ არსებობს პოზიტიური ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებულ დაშვებებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

სასამართლო დავები

ჯგუფი ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხადარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე ჯგუფის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. ჯგუფი განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

<u>**დაბეგვრა**</u>

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

<u>**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**</u>

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

<u>საეჭვო ვალების ანარიცხები</u>

ჯგუფი საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

ჯგუფი ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის დირექტორთა საბჭო და შესაბამისი კომიტეტები ხელმძღვანელობისგან ღებულობენ ყოველთვიურ ანგარიშგებას, მიმოიხილავენ თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

საპროცენტო რისკი. საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია გაცემული სესხებიდან, სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ ფიზიკური პირები, გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.
ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება
ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა

- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს- ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას. თუმცა არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. საწარმო არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში

კონვერტირებით. ‘დაფარვა’ განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. საწარმო არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. საწარმო არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.
ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში

განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის.

გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

~ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. საწარმო ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. საწარმო ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. საწარმო ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობებს მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid- 19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გაახანგრძლივა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. საწარმო ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან,

ოოდესაც ის ჰიოველად აღიაოეის აქტივეის ან ვალდეიულეიეის. უჩიი, იყო გაუოკვევლოია იძის თაოიაᲣე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. საწარმო არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ძირითადი საშუალებები

GEL

	მიწა	შენობები და ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები*	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	**171 382**	**1 086 578**	**6 088 645**	**60 051**	**290 229**	**4 216**	**7 701 101**
შეძენა			38 370		39 434	667	78 471
რეალიზებული					(85 749)		(85 749)
ჩამოწერა				(60 051)	(171 965)		(232 016)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**171 382**	**1 086 578**	**6 127 015**	**-**	**71 948**	**4 883**	**7 461 806**
ცვეთა							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	**-**	**(133 482)**	**(3 691 935)**	**(27 684)**	**(202 312)**	**-**	**(4 055 413)**
პერიოდის ცვეთა		(36 219)	(874 603)		(30 988)	(1 508)	(943 319)
რეალიზებული ძ/ს ცვეთა					53 289		53 289
ჩამოწერილი ძ/ს ცვეთა				27 684	171 149		198 833
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**-**	**(169 701)**	**(4 566 538)**	**-**	**(8 862)**	**(1 508)**	**(4 746 610)**
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 1 იანვრისათვის	**171 382**	**953 096**	**2 396 710**	**32 367**	**87 917**	**4 216**	**3 645 688**
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**171 382**	**916 877**	**1 560 477**	**-**	**63 086**	**3 375**	**2 715 197**

* სს მეტრო ჯორჯიამ 2021 წლის დეკემბერში მოახდინა ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასის გადაფასება. შეფასება განხორციელდა სერთიფიცირებული შემფასებლის მიერ და ავტობუსების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 2 709 600 ლარი. ამ პერიოდისათვის თვითღირებულების მეთოდით შეფასებული სატრანსპორტო საშუალებების ღირებულება იყო 1 441 287 ლარი. საწარმომ 2021 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის აღნიშნული თანხა ასახა სხვა სრულ შემოსავალში და მოახდინა აქტივების შესაბამისი კორექტირება

5. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	31.12.2020	31.12.2019
ავტობუსების რეალიზაცია		68 734
მიტანის სერვისი	43 304	99 020
ნეტბუსის პროგრამით სარგებლობის საფასური	3 788	11 666
სარეკლამო მომსახურეობა	51 483	-
სხვა	69 062	159 817
	167 637	**339 237**

6. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

	31.12.2020	31.12.2019
ხელფასი	(789 125)	(1 365 206)
ბონუსი	(40 463)	(490 025)
მივლინება		(98 532)
	(829 588)	**(1 953 763)**

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2020		31.12.2019
დამწვარი ავტობუსის ხარჯი			(303 849)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(19 465)		(135 540)
დგომის ხარჯი	(44 733)		-
წარმომადგენლობითი ხარჯი	(101 316)		(115 394)
რეკლამის ხარჯი	(90 194)		(67 844)
იჯარა	(41 441)		(44 692)
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯი	(33 732)		(64 586)
ვალის პატიება	(3 148)		(53 799)
ბანკის საკომისიო	(16 659)		(38 652)
მოვლა-პატრონობის ხარჯი	(10 532)		(23 902)
დაზღვევა	(412 717)		(23 698)
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურეობა	(1 890)		(22 118)
საკანცელარიო ხარჯი	(2 757)		(16 039)
ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯი	(48 031)		
სხვა	(92 622)		(112 782)
	(919 236)	#	**(1 022 895)**

8. სააქციო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული 22,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია ნომინალური ღირებულებით ასი ლარი. ჯგუფის მმართველ ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა კრება, რომელიც ირჩევს დირექტორთა საბჭოს, სადაც შედის სამი დირექტორი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ორი დირექტორის თანხმობა.

9. მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	715 249	1 048 726
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	53	-
გადახდილი ავანსები	153 771	247 531
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(749 618)	(664 445)
	119 455	*631 812*

საწარმო იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების პროფილს ოპერირების მთელი პერიოდის განმავლობაში და ამ პერიოდში მიღებულ შესაბამისს ისტორიულ საკრედიტო ზარალს. საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2020	**31.12.2019**
ფული სალაროში	147 194	113 576
ფული ბანკში	316 178	634 568
დეპოზიტები მოთხოვნამდე	-	369 117
	463 372	**1 117 261**

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 951 038	3 974 728
სახელფასო ვალდებულებები	3 000	180 859
	2 954 038	**4 155 587**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	162 460	110 573
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**3 116 498**	**4 266 160**

12. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფს 2020 წლის დასაწყისში იჯარით აღებული ჰქონდა საოფისე ფართი ბათუმში, თბილისში, ასევე საპარკინგე ტერიტორია ბათუმში და თბილისში. საიჯარო გადასახადები ამ ფართებზე არის ფიქსირებული საიჯარო ვადის განმავლობაში. იჯარა დენომინირებულია ლარში და დოლარში. 2020 წელს, პანდემიის გამო ჯგუფმა გააუქმა ყველა არსებული იჯარის ხელშეკრულება.
აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**512 165**
ამორტიზაცია	-
იჯარის შეწყვეტის კორექტირება	(512 165)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**553 295**
იჯარის შეწყვეტის კორექტირება	(512 165)
სხვაობის ასახვა (მოგება)/ზარალში	(41 130)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**

13. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან და ნაშთები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(284 107)	(104 065)

დაუფარავი ნაშთები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	152 664	98 744
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 536 002	3 495 763
	2 688 666	***3 594 507***

სასამართლო დავები

ჯგუფსა და შპს მარი ჯგუფს (შემდგომში „მოსარჩელე“) შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ჯგუფისგან ითხოვს ე.წ. ნოუ შოუს ანაზღაურებას 53,189 ლარის ოდენობით. სულ ამ ეტაპზე ჩატარებულია სამი სასამართლო სხდომა, ხოლო მთავარი სხდომა ჯერ კიდევ არ ჩანიშნულა. ჯგუფი ვარაუდობს, რომ დავის უარყოფითად გადაწყვეტის ალბათობა ჩატარებული სხდომების საფუძველზე მინიმალურია.

• ჯგუფსა და შპს კოლიზეუმ მარინას (შემდგომში „მოსარჩელე“) შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ჯგუფისგან ითხოვს ე.წ. ნოუ შოუს ანაზღაურებას 75,506 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე არ ჩატარებულა არცერთი სასამართლო სხდომა. შესაბამისად ჯგუფი ვერ ახდენს სასამართლო განაჩენის წინასწარ შეფასებას, თუმცა თვლის, რომ სრულად აქვს შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებები.

* ჯგუფსა და შპს აჯარა ბოატს (შემდგომში "მოპასუხე") შორის მიმდინარე სასამართლო დავა, რომლის თანახმად ჯგუფი ითხოვს გაცემული სესხის ძირ თანხასა და დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, ჯამში 67 242 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს დავის დადებითად დასრულების იმედი აქვს, მოპასუხეს არ გააჩნია აქტივების ის ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნის დაფარვას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო. ვირუსის გავლენა ინდუსტრიების მიხედვით შესაძლოა განსხვავდებოდეს, თუმცა იგი ყველა სექტორში არსებულ კომპანიებზე მოახდენს გავლენას. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა. ამ შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე.

• 2021 წლის ივლისში ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა შპს მეტრო პლიუსმა (შემდგომში „მოსარჩელე“), ავტობუსების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. მოსარჩელის სრული მოთხოვნა წარმოადგენს 347,123 ლარს. ჯგუფმა იმავე თვეში შეიტანა შესაგებელი მოსარჩელის წინააღმდეგ ავტობუსების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე. სრული მოთხოვნა შეადგენს - 495,206 ლარს. ამ დრომდე არ ჩატარებულა სასამართლო სხდომა, შესაბამისად ჯგუფი ვერ აფასებს შესაძლო ზიანის ოდენობას, რომელიც სასამართლოს უარყოფითი განჩინების შემდეგ შესაძლოა მიადგეს ჯგუფს.

სს ,,მეტრო ჯორჯია“

2020 საანგარიშო წლის კონსოლიდირებული საქმიანობის მიმოხილვა

ბათუმი
2021

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია 3

1.1. ჯგუფის შესახებ 3

1.2. დარგის მიმოხილვა 3

2. 2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა 4

2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები 4

2.2. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა 5

2.3. საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი 6

2.4. საზოგადოების შვილობილი საწარმო და მისი ფინანსური მაჩვენებლები 7

3. საწარმოს განვითარების პერსპექტივები 9

3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები 9

4. საწარმოს რისკები 10

4.1. ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა 10

4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა 11

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილია ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება. ჯგუფში შედის შემდეგი კომპანიები:

1. სს მეტრო ჯორჯია (ს/ნ 445410635), რომელიც დაფუნდა 2012 წლის 29 მაისს.
2. სს აჭარა-ტური (ს/ნ 245549027), რომელიც დაფუძნდა 2006 წლის 23 იანვარს.

1.1. ჯგუფის შესახებ

სააქციო საზოგადოება ,,მეტრო ჯორჯია" (შემდგომში „საწარმო") წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2012 წლის 29 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 445410635. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. 1. საწარმოს დამფუძნებლებს წარმოადგენს იურიდიული კომპანია შპს სდფ არეა (ს/ნ 445543939), რომელიც ფლობს კომპანიის 50 %-ს და იურიდიული კომპანია - სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია (ს/ნ 404392359), რომელიც ფლობს კომპანიის 50 % -ს.

საწარმოს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. კომპანიამ პირველი გადაყვანა 2014 წლის 20 ოქტომბერს შეასრულა და დღემდე ასრულებს.

1.2. დარგის მიმოხილვა

საქართველოში ტურიზმის, როგორც დარგი წლიდან წლამდე ვითარდება. ამის ნათელი მაგალითია ტურისტების ზრდა ბოლოს 5 წლის მანძილზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (www.gnta.ge) მონაცემებით 2016-2020 წლებში საქართველოში შემოვიდა 34.4 მილიონი სტუმარი, ხოლო ამავე პერიოდში აჭარაში მოგზაურთა რაოდენობა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით შეადგენდა 6.4 მილიონ სტუმარს. ამასთან ერთად ჩვენი მომხმარებლები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობაა, რომელთა ნაკადი წლიდან წლამდე იზრდება.



ყოველწლიურად მზარდი ნაკადის გამო წლიდან წლამდე ვითარდება მგზავრთა გადაყვანის ბაზარი. ჩვენს გარდა ბაზარზე მგზავრთა გადაყვანას ეწევა შემდეგი კომპანიები: ბექა ტური, ლუქს კარადენიზი, ევრობუს, ჯორჯიან ბას,საქართველოს რკინიგზა, ჯიზ ჯორჯია, ბენე და სხვა.

დღეის მდგომარეობით სატრანსპორტო მომსახურების, მგზავრთა გადაყვანის ბაზარზე მოქმედ ,,დიდ ხუთეულს“ შორის ვიმყოფებით.

2. 2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა

2.1. ჯგუფის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2020 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

(ლარი)

	2019	2020	ცვლილება %
ამონაგები	6 483 474	1 138 023	(82.45) %
სხვა შემოსავალი	456 097	677 957	32.73 %
შესყიდული მომსახურებები	(571 917)	(97 234)	83 %
შრომის ანაზღაურება	(1 953 763)	(829 588)	57.54 %
კომუნალური ხარჯები	(44 692)	(39 214)	12.26 %
ცვეთა და ამორტიზაცია	(1 106 719)	(949 862)	14.18 %
სხვა საოპერაციო ხარჯი	(2 450 582)	(1 267 751)	48.13 %
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(295 373)	(171 157)	42.1 %
მოგება/ზარალი	**516 526**	**(1 538 825)**	**(397.9) %**

2020 წელს მგზავრთა გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურება) შედეგად მიღებულმა წმინდა ამონაგებმა შეადგინა 1 138 023 ლარი.

ამონაგები 2020 წელს შემცირდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. გლობალური პანდემიის covid19 შეზღუდვების შედეგად.

რაც შეეხება ხარჯებს, 2020 წელს შემცირდა თვითღირებულების კომპონენტები, როგორიცაა შესყიდული მომსახურებები და სხვა საოპერაციო ხარჯები.

წარმოგიდგენთ საწვავის ფასის დინამიკას:

№	ხარჯის დასახელება	ტარიფი 2019 წელს	ტარიფი 2020 წელს
1	დიზელი	1 ლტ = 2,52 ლარი	1 ლტ =1,7 ლარი

2.2. ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

ლარი

	2019	**2020**
გრძელვადიანი აქტივები	4 194 619	2 744 813
მოკლევადიანი აქტივები	3 220 077	774 515
სულ აქტივები	**7 414 696**	**3 519 328**
მოკლევადიანი ვალდებულებები	4 819 455	3 116 498
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სესხი	0	0
გადასახდელი პროცენტი	0	0
აკუმულირებული მოგება/ზარალი	395 241	(1 797 169)
სულ საკუთარი კაპიტალი	2 200 00	2 200 00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**7 414 696**	**3 519 328**

2.3. ჯგუფის აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2020 წლის ბოლოს "ჯგუფის"-ს აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 3 519 328 ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე შემცირდა 3 941 783 ლარით, ძირითადად, მოკლევადიანი აქტივების შემცირების და ზარალიანი წლის ხარჯზე.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2019	31.12.2020
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.2318	0.2207
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.006	1.02
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,7428	1,13

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2020 წლის შედეგების მიხედვით შემცირდა 0.23-დან 0.2207-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 1,02. მოცემული მაჩვენებლის გაზრდაა გამოწვეული იყო მიმდინარე ვალდებულებების გაზრდით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0,7428-დან 1,13-მდე. მაჩვენებლის გაზრდა განპირობებულია მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2019	31.12.2020
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0,42	0,63
სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობა	0	0

2020 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი შემცირდა და შეადგინა -0,42. საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შეადგინა -0. მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად.

2.4. საზოგადოების შვილობილი საწარმო და მისი ფინანსური მაჩვენებლები.

საზოგადოება სს ,,აჭარა-ტურის“ 100 % წილის მფლობელია, რომელიც წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საწარმომ სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2006 წლის 23 იანვარს ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 245549027. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. 32/48.

სს ,,მეტრო ჯორჯია“ სს ,,აჭარა-ტურ“-ში 100 % წილს ფლობს 2015 წლის 22 ივლისიდან.

სს ,,აჭარა-ტური“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - ტურ-ოპერატორების საქმიანობები, რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები, სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით.

კომპანია ყოველწლიურად აფორმებს სხვადასხვა ქვეყნის ტუროპერატორებთან ხელშეკრულებას, ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანაზე და მათთვის ტურისტული პაკეტის მიწოდებაზე.

საზოგადოების 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

(ლარი)

	2019	**2020**
ამონაგები	3 714 730	76 227
სხვა შემოსავალი	18 648	23 365
პირდაპირი ხარჯი	-27 311	-253 637
კომერციული ხარჯი	-109 391	0
ადმინისტრაციული ხარჯი	-1 271 347	-246 435
ფინანსური ხარჯები	-171 073	-4 640
განსაკუთრებული ხარჯები	- 112 774	- 80 100
მოგება/ზარალი	**1 041 482**	**(485 220)**

კომპანიის სამომავლო გეგმებია წლის დაბალ სეზონზე (თებერვალი, მარტი, აპრილი) გააფორმოს სხვადასხვა ტიპის სასტუმროებთან გარანტირებულ ოთახებზე ხელშეკრულება, რაც მიცემს საშუალებას დაბალ სეზონზე წინასწარ აღებული ნომრების სარფიანად გაყიდვას.

ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია კომპანიის საქმიანობაში ავია ბილეთების რეალიზაცია და საზღვარგარეთის ტურები.

*ავია ბილეთების რეალიზაცია ფინანსური მაჩვენებლით, ერთობლივი შემოსავლის 19 % -ია. დღეის მდგომარეობით აჭარის ტერიტორიაზე მყოფ სამორინე-კაზინოების 80 % მომსახურებას ჩვენ ვუწევთ. აღნიშნული გამომდინარეობს კომპანიის ფინანსური სტაბილურობით, 24 საათიანი მომსახურებით, გენერალურ პარტნიორებთან ფასდათმობებით და კონფიდენციალურობით.

* წლიდან წლამდე ხდება უცხოურ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმება და იმ ელექტრონული გასაღების მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა ქვეყანაში სასტუმროების დაბალ ფასში აღებას.

ამ ეტაპზე კომპანია ფლობს 4 სხვადასხვა ფილიალს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენი მომსახურების ფართო სპექტრისათვის მიწოდებას და სამომავლო გეგმების ეფექტურად განხორციელებაში:

ფილიალები განთავსებულია შემდეგ მისამართებზე:

1. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N 16.
   აღნიშნული ფართი კომპანიამ შეიძინა 2017 წელს. ოფისი ჩართულია, როგორც ბილეთების (ტურისტული პაკეტების) რეალიზაციაში ასევე ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების დახვედრა/გაცილებაში და ქვეყნის ტერიტორიაზე გასაწევი ტურების ორგანიზებაში.
2. ქობულეთი, აღმაშენებლის N49.
   აღნიშნული ფართი კომპანიას იჯარით აქვს აღებული. ოფისი მდებარეობს ქობულეთის ცენტრალურ ნაწილში. ოფისი იდენტური პროდუქტის და მომსახურების გაწევას ახორციელებს, როგორც ცენტრალური ოფისი. ასევე დიდი მნიშვნელობით ფუნქციონირებს ტურისტების განთავსებაში და ქობულეთის ბაზარზე არსებულ სასტუმროებთან მოლაპარაკებებში.

3. ბათუმი, მელიქიშვილის N 32/48.
   აღნიშნული ფართი კომპანიას საკუთრებაში აქვს 2015 წლიდან. აღნიშნულ ფართში განთავსებულია კომპანიის ცენტრალური ოფისი. ბილეთების (ავია, რკინიგზა, სახმელეთო) რეალიზაცია. რეზერვაციის დეპარტამენტი. ტრანსპორტის დეპარტამენტი. ქვეყნის შიდა ტურების დაგეგმვა/რეალიზაციის დეპარტამენტი. გაყვანითი ტურების დეპარტამენტი. ფინანსური დეპარტამენტი. იურიდიული დეპარტამენტი. აღნიშნული ოფისი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესრულებაში.
4. ბათუმი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი.
   აღნიშნული ოფისი კომპანიას იჯარით აქვს აღებული. ოფისის ძირითადი საქმიანობაა უცხოელი ტურისტების დახვედრა, სასტუმროებში ტრანსპორტით განთავსება/ დაბრუნების ორგანიზება.

საწარმოს საქმიანობის არაფინანსური მაჩვენებლები

მგზავრთა ნაკადის მატება ემთხვევა საზღვაო სეზონს, რომელიც იწყება მაისში და მთავრდება ოქტომბერში.

2019 და 2020 წლეების მგზავრების დინამიკა იხილეთ დიაგრამაზე:



საწარმოს საკუთარი აქციების მოძრაობა

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ არ განხორციელებულა აქციების შეძენა/რეალიზაციის ოპერაციები.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 და 2020 წლებში ჯგუფს არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

3. საწარმოს განვითარების პერსპექტივები

3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საწარმოს განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში.
- მგზავრთა გადაყვანის სხვადასხვა მიმართულების დამატება, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ.

გამომდინარე იქედან, რომ ბაზარზე მომატებულია კონკურენცია, საწარმოს განვითარების გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ახალი ტრანსპორტის შეძენა, რომელიც უფრო გაამყარებს საიმედოობას ბაზარზე და კომფორტული სერვისების მიწოდებას.

ასევე დაგეგმილია კომპანიის ტექნიკური დეპარტამენტის გაფართოება, რომელიც საშუალებს მოგვცემს საკუთარი ტრანსპორტის დროულად შემოწმება/ინსპექტირებას და დამატებითი შემოსავლის მომტანი სხვა მსგავსი ტრანსპორტისათვის ტექნიკური

მომსახურების გაწევით.

4. საწარმოს რისკები

4.1. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

აჭარის რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს ,,მეტრო ჯორჯია"-სთვის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელურობაზე, ძირითადად ხელსაყრელია. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

თუმცა, 2019 წლის ბოლოს ჩინეთში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ვირუსი, რომელიც განეკუთვნება კორონავირუსების ტიპს. მას უწოდეს COVID-19. 2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა ამ ვირუსით დაინფიცირების.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2020 წელს უცხოელი ვიზიტორები ვერ შემოვიდნენ ქვეყანაში, რამაც დიდი პრობლემები შექმნა ეკონომიკურ საქმიანობის სრულფასოვან განხორციელებაში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის ქვეყანაში არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ აქტივობებს, მნიშვნელოვნადაა შემცირებული ტურიზმი და სასტუმროს ფუნქციონირება. ჯგუფი მოელის პანდემიის დასრულებას და მთავრობის მიერ შეზღუდვების მოხსნას, რაც ჯგუფს საშუალებას მიცემს დაუბრუნდეს ნორმალურ საოპერაციო საქმიანობას.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

პერიოდი	აშშ დოლარი	ევრო
31.12.18	2,6766	3,0701
31.12.19	2,8677	3,2095
31.12.20	3,2766	4,0233

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „მეტრო ჯორჯია"-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

*სამართლებრივი რისკები.*სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო

სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა,რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში.

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსურიანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროსშორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

რობერტ ფერდმანი /----------/

მიხეილ დობორჯგინიძე /----------/

ქ. ბათუმი, 2021 წლის 24 დეკემბერი

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროსშორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

რობერტ ფერდმანი /----------/

მიხეილ დობორჯგინიძე /----------/

ქ. ბათუმი, 2021 წლის 24 დეკემბერი